საგრანტო პროგრამა

„მცირე და საშუალო მეწარმეთა (SME) ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა R&D-ის მეშვეობით"

გრანტის გაცემის წესი

პროგრამის აღწერა

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს საგრანტო პროგრამას **„მცირე და საშუალო მეწარმეთა (SME) ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა R&D-ის მეშვეობით"** (შემდეგში „საგრანტო პროგრამა").

საგრანტო პროგრამის მიზანია, კვლევებისა და განვითარების (შემდეგში „R&D") გრანტების გაცემის გზით, ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო მეწარმეთა (შემდეგში „SME") ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ბიზნეს პროცესების სხვადასხვა ასპექტში. საგრანტო პროგრამა მიმართულია ინოვაციური, მდგრადი და ეფექტიანი ციფრული გადაწყვეტილებების შექმნისკენ, რომლებიც დააკმაყოფილებს გრანტის მიმღები SME-ის სპეციფიკურ საჭიროებებს და გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსების მიმღებია SME, რომელსაც ციფრული ტრანსფორმაციის განსახორციელებლად უნდა ჰყავდეს პარტნიორი ორგანიზაცია. საგრანტო პროგრამის მიზნებისათვის, ციფრული ტრანსფორმაცია გულისხმობს, ახალი ციფრული გადაწყვეტის შექმნას ან/და არსებული ციფრული გადაწყვეტის გაუმჯობესებას R&D-ის გზით.

პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეული 11 SME დაფინანსდება 25,000 ლარით.

მუხლი 1. მოთხოვნები გრანტის მიმღებისადმი

1. გრანტის მიმღები უნდა იყოს, საქართველოში რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი, რომელის რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 3 წელი და წილების 51%-ზე მეტს ფლობს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი.
2. გრანტის მიმღები უნდა აკმაყოფილებდეს ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმოსთვის განსაზღვრულ შემოსავლების ოდენობას.
3. გრანტის მიმღების მიერ ბოლო 2 ფინანსური წლის განმავლობაში, თითოეული ფინანსური წლისათვის, დაგენერირებული შემოსავალების მოცულობა უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს და უნდა იყოს დღგ-ს გადამხდელი.
4. გრანტის მიმღებს, საგრანტო პროექტის იმპლემეტაციაში ჩართული უნდა ჰყავდეს არანაკლებ ერთი ციფრული ტრანსფორმაციის განმახორციელებელი პარტნიორი.

მუხლი 2. მოთხოვნები ციფრული ტრანსფორმაციის განმახორციელებელი პარტნიორი ორგაზაციისადმი

1. ციფრული ტრანსფორმაციის განმახორციელებელი ერთ-ერთი პარტნიორი სავალდებულოდ უნდა იყოს (შემდგომში -პარტნიორი ორგანიზაცია):
ა) საქართველოში რეგისტრირებული, სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ბენეფიციარი სტარტაპი, რომლის რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 2 წელი და წილების 51%-ზე მეტს ფლობს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი; ამ პუნქტის მიზნებისათვის სააგენტოს ბენეფიციარ სტარტაპს წარმოადგენს „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისათვის“, „ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები სტრატაპებისათვის“, „ინოვაციების გრანტები რეგიონებისათის“ და „500 აქსელერაციის“ პროგრამის მონაწილეები.
ბ) კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი პირი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ან/და უმაღალესი საგანამანათლებლო დაწესებულება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტთან ერთად, გრანტის მიმღებს ასევე შეიძლება ჰყავდეს სხვა პარტნიორი ორგანიზაციაც, იმ დათქმით, რომ საგრანტო დაფინანსების არანაკლებ 50% დახარჯულ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პარტნიორი ორგანიზაციისგან მომსახურების შესყიდვაზე.
3. გრანტის მიმღები ან/და მისი დამფუძნებელი ფიზიკური პირები არ უნდა ფლობდნენ წილს/წილებს პარტნიორ ორგანიზაციაში.
4. პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ბოლო 2 ფინანსური წლის განმავლობაში, თითოეული ფინანსური წლისათვის, დაგენერირებული შემოსავალების მოცულობა უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს და უნდა იყოს დღგ-ს გადამხდელი;
5. პარტნიორ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ციფრული პროდუქტების/სერვისების შექმნისა და მიწოდების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

მუხლი 3. საგრანტო კონკურსი

1. საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პორტალზე www.grants.gov.ge.
2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირს განაცხადის გაკეთება შეუძლია კონკურსის გამოცხადების მომენტიდან, შესაბამის ვადებში, პორტალის www.grants.gov.ge მეშვეობით.

მუხლი 4. საგრანტო განაცხადი

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საგრანტო განაცხადი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი / მოწოდებული:

- კომპანიის საქმიანობა (მათ შორის, NACE კოდი);
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმით;
- ციფრული მიმართულებით კომპანიაში არსებული გამოწვევები და საჭიროებები კვლევისა და განვითარების კუთხით;
- არსებული გამოწვევების ინოვაციური გადაჭრის ხედვა და მეთოდოლოგია;
- კომპანიის საჭიროების კონკრეტული ციფრული გადაწყვეტა, შესაბამისი

აქტივობები და შესრულების ვადები.

- ბიუჯეტი და მოსალოდნელი შედეგები;
- ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციის შესახებ და მის მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულება (ინვოისი);

საჭიროების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა განმცხადებლის მხრიდან.

მუხლი 5. საგრანტო კონკურსის ეტაპები

1. საგრანტო კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) სააგენტოს მიერ საგრანტო კონკურსის გამოცხადება და საგრანტო განაცხადების მიღება;
ბ) სააგენტოს მიერ განმცხადებლის შესაბამისობის დადგენა გრანტის მიმღებისადმი დადგენილ მოთხოვნებთან.
გ) საგრანტო განაცხადების შეფასება ექსპერტებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ;
დ) განმცხადებლის მიერ ექსპერტებით დაკომპლექტებული კომისიის წინაშე პროექტის წარდგენა;
ე) ექსპერტების მიერ, საგრანტო განაცხადის განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
2. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება განაცხადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

მუხლი 6. საგრანტო განაცხადის შეფასება

1. საგრანტო განაცხადების შეფასებას ახორციელებენ ექსპერტები, შემდეგი კრიტერიუმებით:

- ციფრული ტრანსფორმაციის საჭიროება;
- ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ციფრული გადაწყვეტის ხედვა;
- პარტნიორი ორგანიზაციის შესაბამისობა მოთხოვნებთან და გადაწყვეტის განხორციელების შესაძლებლობა;
- გადაწყვეტის გავლენა SME-ის ბიზნეს პროცესების ეფექტურობის გაზრდაზე.

2. შეფასების თითოეული კრიტერიუმი საგრანტო კომისიის მიერ ფასდება 1-5 ქულამდე. (1 ქულა - სუსტი, 2 ქულა - დამაკმაყოფილებელი, 3 ქულა - საშუალო, 4 ქულა - კარგი, 5 ქულა - შესანიშნავი)
3. პროექტების შეფასების შედეგად, დგება სარეიტინგო სია. პროექტმა შესაძლებელია ჯამში დააგროვოს 20 ქულა, ხოლო ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ქულების მინჭების შემთხვევაში 22 ქულა.
4. სარეიტინგო სიაში ხვდება მხოლოდ ის პროექტი, რომელიც დააგროვებს მაქსიმალური ქულის მინიმუმ 51%-ს
5. დამატებითი ქულები, სარეიტინგო სიის შედგენისას, ენიჭნება

ა) იმ განმცხადებლებს, რომლის დამფუძნებლებიც არიან ქალები (50%-ზე მეტი წილი) - მიენიჭებათ დამატებით 2 ქულა ან

ბ) იმ განმცხადებლებს, რომლის პარტნიორი ორგანიზაცია დაფუძნებულია საქართველოს რეგიონში - მიენიჭებათ დამატებით 2 ქულა.

6. განმცხადებელს დამატებითი ქულა შეიძლება მიენიჭოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთი საფუძვლით.

მუხლი 6. საგრანტო კომისია

1. საგრანტო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგრანტო კომისია.
2. საგრანტო კომისია შედგება 2 ექსპერტისგან (შემდგომში „წევრი“), რომელთაც ბრძანებით ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარე.
3. საგრანტო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განმცხადებელის მიერ საგრანტო განაცხადის განხილვისა და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია დაუსვას კითხვები განმცხადებელს.
4. კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს საგრანტო განაცხადს ამ წესით დადგენილი კრიტერიუმებით, რის საფუძველზეც დგება სხდომის ოქმი და საშუალო ქულის შედეგებით ვლინდება გამარჯვებული. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის ორივე წევრი. კომისია უფლებამოსილია გასაუბრების შედეგად განმცხადებელს მისცეს რეკომენდაცია საგრანტო განაცხადის გაუმჯობესების შესახებ ან/და მოსთხოვოს წარმოდგენილი ბიუჯეტის კორექტირება, რაც აისახება საგრანტო კომისიის სხდომის ოქმში.
5. საჭიროების შემთხვევაში საგრანტო კომისია უფლებამოსილია კომისიის სხდომა/ გასაუბრებები ჩაატაროს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით.

მუხლი 7. საგრანტო ხელშეკრულების დადება

1. იმ პირებთან, რომელთა დაფინანსების შესახებ კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, სააგენტო სხდომის ოქმის შედგენიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს, რომლითაც განისაზღვრება სააგენტოსა და დაფინანსებულ პირთან შორის ურთიერთობები.
2. ხელშეკრულების დადების ეტაპზე სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების გაფორმებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტების ანდა საგრანტო პროექტის ბიუჯეტის რედაქტირება ამ წესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საგრანტო კომისიის წინაშე განხილვის ეტაპზე წარმოდგენილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის ფარგლებში.
3. გრანტის მიმღებსა და სააგენტოს შორის ურთიერთობები, მათ შორის მონიტორინგის წესი და მხარეთა პასუხისმგებლობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

საგრანტო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, მათ შორის კომისიის წევრები, არ არიან უფლებამოსილნი გაამჟღავნონ ან პირადი მიზნებისათვის გამოიყენონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა საგრანტო კონკურსის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კომისიის სხდომის დაწყებამდე წერილობით განაცხადოს თვითაცილების შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა იმ პროექტის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მითითება უნდა გაკეთდეს სხდომის ოქმში. ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კომისიის წევრი და განმცხადებელი ურთიერთდაკავშირებული პირები არიან.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის ურთიერთდაკავშირებულ პირებად ითვლებიან პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საგრანტო დაფინანსებაზე, მათ შორის ურთიერთობები, რომელთა დროსაც:
ა) კომისიის წევრი და განმცხადებელი არიან ერთი საწარმოს პარტნიორები;
ბ) კომისიის წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს საწარმოში ან კომისიის წევრი ახორციელებს საწარმოს კონტროლს (განმცხადებელი იურიდიული პირის შემთხვევაში);
გ) კომისიის წევრი/განმცხადებელი თანამდებობრივად ექვემდებარება განმცხადებელს/კომისიის წევრს; კომისიის წევრი/განმცხადებელი იმყოფება შრომით ურთიერთობაში განმცხადებელთან/კომისიის წევრთან;
დ) კომისიის წევრი და განმცხადებელი ნათესავები არიან;
ე) კომისიის წევრი და განმცხადებელი არარეგისტრირებული კავშირის/ ამხანაგობის წევრები არიან.
3. ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:
ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ასევე ნათესავების პირველ და მეორე შტოსთან მუდმივად მცხოვრები პირები.
4. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობა წარმოადგენს იმ საგრანტო პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს, რომელთან მიმართებითაც კომისიის წევრს გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი.

მუხლი 10. საგრანტო პროგრამის სპეციალური პირობები

1. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის შემდგომი განვითარებისა და ბიზნეს პროცესების ეფექტიანობის გაზრდის კუთხით პროექტის გავლენაზე. ინფორმაცია მიწოდებელ უნდა იქნეს სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
2. სააგენტო არ არის უფლებამოსილი დააფინანსოს საგრანტო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დაფინანსების მოპოვების მიზნით სააგენტოს განზრახ შეცდომაში შეყვანას და შეიცავს ყალბ ან არაზუსტ ფაქტებს.
3. ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას თანადაფინანსების წყაროდ.

4. გრანტის მიმღები უფლებამოსილია გრანტი მიიღოს და განკარგოს მხოლოდ საგრანტო პროექტისათვის სპეციალურად განხსნილი ახალი/ნულოვანი საბანკო ანგარიშით. გრანტის განკარგვა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით. გრანტის მიმღები არ არის უფლებამოსილი გრანტისთვის განკუთვნილი საბანკო ანგარიშით აწარმოოს გადახდები, ან აღნიშნულ ანგარიშზე მიიღოს სხვა თანხები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგრანტო პროექტთან.

5. საგრანტო პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

6. გრანტის მიმღები არ არის უფლებამოსილი, გამარჯვების შემდეგ ან/და საგრანტო ხელშეკრულების დადების შემდეგ, შეცვალოს პარტნიორი ორგანიზაცია, გარდა პატივსადები საფუძვლისა. პატივსადების საფუძვლის არსებობისას, პარტნიორი ორგანიზაციის ჩანაცვლება დასაშვებია სააგენტოს თანხმობით, გრანტის მიმღების მიერ დასაბუთებული მომართვის საფუძველზე. ჩანაცვლებული პარტნიორი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს პარტნიორი ორგანიზაციისათვის ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

7. გრანტის მიმღების მიერ მესამე მხარესთან დადებული ხელშეკრულებები, უნდა ითვალისწინებდეს პირობას, იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც შესაძლოა შეიქმნას პროექტის იმპლემენტაციის პერიოდში საგრანტო პროექტის ფარგლებში, წარმოადგენს გრანტის მიმღების საკუთრებას;

მუხლი 11. მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის თანხა გამოიყენოს **მიზნობრივად,** საგრანტო პროექტის ფარგლებში დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

2. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დაწყებიდან და ასევე პროექტის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს მოთხოვნილი ნებისმიერი სახის **ფინანსური და პროგრამული ანგარიში** პორტალის www.grants.gov.ge, ან/და სააგენტოს მიერ ინფორმაციის შეგროვებისათვის განსაზღვრული სხვა ტიპის წყაროების (ელ.ფოსტა და სხვა) მეშვეობით.

მუხლი 12. მიზნობრივი ხარჯი:

გრანტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ, ის ხარჯები, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ხარჯი გაწეულია შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად;

ბ) გაწეული და გადახდილია შეთანხმებული პროექტის განხორციელების პერიოდში.

გ) ხარჯი აღრიცხულია ბენეფიციარის საბუღალტრო ჩანაწერებში, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

დ) პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ასევე ითვალისწინებდეს ცვლილებას ბიუჯეტის პუნქტებს შორის ან/და სხვა ხარჯებს, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს პროექტის საჭიროებებიდან და არ განეკუთვნება არამიზნობრივი ხარჯების კატეგორიას.

ე) შეესაბამება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

მუხლი 13. არამიზნობრივი ხარჯები

1. არამიზნობრივად ითვლება შემდეგი ხარჯები:
ა) პროექტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები;
ბ) დღგ-ს, მოგების, იმპორტისა და ქონების გადასახადები.
გ) ბიუჯეტში გაწერილი ის პუნქტები, რომელიც უკვე დაფინანსებულია სხვა სტრუქტურის, პროგრამის ან კომპანიის/დაწესებულების მეშვეობით (ორმაგი დაფინანსების თავიდან აცილება);
დ) კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული დანაკარგები, აგრეთვე ჯარიმები;
ე) გართობისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
ვ) მიწისა და შენობების შესყიდვა, შენობა-ნაგებობების აშენება ან/და იჯარა;
ზ) სხვა ტიპის ხარჯები, რომელსაც სააგენტო მიიჩნევს არამიზნობრივად.
2. არამიზნობრივად განკარგული თანხები ექვემდებარება სააგენტოსთვის დაბრუნებას, მათი არამიზნობრივ ხარჯად აღიარებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში.

მუხლი 14. დაფინანსებულ საგრანტო პროექტში ცვლილებების შეტანა

1. დაფინანსებული საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ მოთხოვნა გრანტის მიმღების მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, გაჭიანურების გარეშე. ცვლილების შესახებ მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა ასაბუთებდეს ცვლილების საჭიროებას და უთითებდეს, თუ როდის გახდა ცნობილი გრანტის მიმღებისათვის ცვლილების საჭიროება.
2. პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ასევე ითვალისწინებდეს სხვა ხარჯებს. აღნიშნულ პუნქტში გაწერილი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ღირებულების 20%-ს და აღნიშნული ცვლილების შედეგად პროექტის ჯამური ბიუჯეტი არ უნდა აჭარბებდეს პროექტის შეთანხმებულ ბიუჯეტს.
3. საგრანტო პროექტში ცვლილებების შესახებ გრანტის მიმღების მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო დაფინანსებული საგრანტო პროექტის ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დასრულებამდე იღებს გადაწყვეტილებას პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ.
4. სააგენტო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომლის საჭიროება არ არის დასაბუთებული, ან/და წარმოდგენილია დაგვიანებით.

მუხლი 15. ფინანსური და პროგრამული ანგარიში

1. საგრანტო პროექტის მონიტორინგი შედგება პროგრამული და ფინანსური მონიტორინგისგან. პროგამული მონიტრინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობებისა და მიღწეული მიზნების შესრულების შემოწმებას, ხოლო ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის შემოწმებას, რაც აისახება ფინანსური ანგარიშის განხილვისა და პროგრამული ანგარიშის განხილვის აქტებში.

2. სააგენტოს მიერ წინასწარ შემუშავებული ფინანსური ანგარიშების ფორმებს უნდა ერთვოდეს საგრანტო განაცხადის ფარგლებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი შემდეგი **დოკუმენტები**:

ა) საბანკო გადარიცხვების დამადასტურებელი ამონაწერი;

ბ) საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი საგადახდო დავალება;

გ) პროვაიდერის მიერ ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოისი;

დ) ბენეფიციარი კომპანიის ბუღალტრული ანგარიშგების სისტემაში ასახული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი (სქრინი ან ა.შ);

ე) პროვაიდერი კომპანიის მიერ შემოსავლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ანგარიშფაქტურა) აღრიცხული RS -ის პორტალზე.

ვ) სააგენტოს მიერ წინასწარ შემუშავებულ პროგრამულ ანგარიშს, თან უნდა ერთვოდეს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე პროექტის განხორციელების შედეგების ამსახველი დოკუმენტები და საგრანტო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მისაღწევ მიზნებთან პროექტის შედეგების შესაბამისობის ამსახველი შემდეგი დოკუმენტები:

ზ) აქტივობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესრულებული R&D კვლევა, ტექნიკური დავალება და სხვა);

თ) ანგარიში, რომელიც აღწერს განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებული ან/და დანერგვის შემდგომ მისაღები შედეგების შესადარისობას გრანტიორის თავდაპირველ მიზნებთან.

2. პროგრამული და ფინანსური ანგარიშების დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ჩათვალოს გრანტის ფარგლებში გადარიცხული თანხა არამიზნობრივ გახარჯვად.

3. სააგენტო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს განიხილავს მათი წარმოდგენიდან 1 თვის ვადაში. ხარვეზების შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება დამატებითი ვადა 7 კალენდარული დღის ვადით ხარვეზების გამოსასწორებლად.

4. ფინანსური ანგარიშის განხილვისა და პროგრამული ანგარიშის განხილვის აქტების საფუძველზე სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის დგება შედარების აქტი.

5. გრანტის მიმღების მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირველადი ხარვეზების ან/და შემდგომი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, საგრანტო პროექტი იხურება არსებული მდგომარეობით საგრანტო პროექტის დასრულებიდან არაუგვაინეს 3 თვის ვადაში, რა შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებულია დააბრუნოს არამიზნობრივი ხარჯები და აუთვისებელი ნაშთი.